ცნობა

თამარ სანიკიძე დაიბადა 1978 წლის 30 აგვისტოს, ქ. თბილისში.

1995-1999 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე.

2000 წელს დაამთავრა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) სახელმწიფო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა.

2003-2007 წლებში სწავლობდა სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსზე - გლაზგოს უნივერსიტეტის პროგრამა, თბილისის ოფისში.

2011 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიარა მართვის ამერიკული ასოციაციის (AMA) მიერ ორგანიზებული ტრეინინგი.

1998-1999 წლებში მუშაობდა საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროში წამყვან სპეციალისტად.

2000-2001 წლებში იყო თბილისის გამრიცხველიანების პროექტის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოების შემფასებელი, ხოლო 2001-2003 წლებში - ფინანსური დირექტორის მოადგილე.

2003-2005 წლებში მუშაობდა სს „თელასის" ქსელის განვითარების დეპარტამენტში ეკონომისტად.

2005 წლიდან 2009 წლამდე იყო ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების პროექტში (CELD) (ურბანული ინსტიტუტის წარმომადგენლობა საქართველოში (UI)) რესურსების მართვის პროგრამის კოორდინატორი, შესყიდვების მენეჯერი და ფინანსური დირექტორი.

2009-2010 წლებში მუშაობდა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში ფინანსურ მენეჯერად.

2008-2012 წლებში მუშაობდა ლექტორად, კორპორატიულ და ბიზნეს სამართალი, სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაცია - თბილისი.

2010 წლიდან 2012 წლამდე საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ფინანსური დირექტორი.

2012 წელს მუშაობდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორად.

2012 წლის 29 ოქტომბრიდან 2013 წლის 18 ივლისამდე იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, 2012 წლის 2 ნოემბერს დაინიშნა პირველ მოადგილედ.

2012 წლის 30 ოქტომბრიდან 2012 წლის 2 ნოემბრამდე და 2012 წლის 10 დეკემბრიდან 2013 წლის 3 აპრილამდე იმავდროულად იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორი.

2013 წლის 18 ივლისს დაინიშნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრად.

ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.